პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

მსოფლიო პრაქტიკა

სექტემბერი / 2022

მთავარი სიახლეები

ირლანდიის მონაცემთა დაცვის კომისიამ “Instagram”-ის შესწავლის შესახებ გადაწყვეტილება გამოაცხადა

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა (OHCHR) ციფრულ ეპოქაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკ ავშირებული გამოწვევების თაობაზე ანგარიში გამოაქვეყნა

დანიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო დამატებითი ღონისძიებების არსებობის გარეშე “Google”-ის ანალიტიკის გამოყენებას უკანონოდ მიიჩნევს

დიდი ბრიტანეთის ინფორმაციის კომისრის ოფისმა (ICO) პირადი ცხოვრების დაცვის გამაძლიერებელი ტექნოლოგიების (“PET”) შესახებ სახელმძღვანელოს პროექტი გამოაქვეყნა

ირლანდიის მონაცემთა დაცვის კომისიამ “Instagram”-ის შესწავლის შესახებ გადაწყვეტილება გამოაცხადა

15.09.2022

ირლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ — „მონაცემთა დაცვის კომისიამ“, 2022 წლის 15 სექტემბერს “Meta Platforms Ireland Limited”-ის (“Instagram”) შესწავლის შესახებ დასკვნები გამოაცხადა. ორგანიზაციას ჯარიმის სახით 405 მილიონი ევროს გადახდა და სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება დაევალა.

ფოტო: freepik.com

ირლანდიის საზედამხედველო ორგანომ შესწავლა 2020 წლის 21 სექტემბერს, მონაცემთა მეცნიერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საპასუხოდ, ასევე, თავად საზედამხედველო ორგანოს მიერ “Instagram”-ის მომხმარებლის რეგისტრაციის პროცესის შემოწმების შედეგად გამოვლენილ საკითხებთან დაკავშირებით დაიწყო. შესწავლა “Instagram”-ის ბავშვ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავებას – ბავშვთა ელექტრონული ფოსტის მისამართების, ტელეფონის ნომრების საჯარო გამჟღავნებას, ასევე, მათი “Instagram”-ის პირადი ანგარიშების ავტომატურ გასაჯაროებას ეხებოდა. კერძოდ, “Instagram”-მა 13-დან 17 წლამდე ასაკის მომხმარებლებს პლატფორმაზე ბიზნეს ანგარიშების ოპერირების შესაძლებლობა მისცა. ანგარიშებში მომხმარებელთა ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები საჯაროდ ჩანდა. ასევე, პლატფორმაზე მოქმედებდა მომხმარებლის რეგისტრაციის სისტემა, რომლის მიხედვით, 13-დან 17 წლამდე მომხმარებელთა ანგარიშები ავტომატურად ხდებოდა საჯარო.

2021 წლის დეკემბერში, ყოვლისმომცველი შესწავლის შემდეგ, GDPR-ის მე-60 მუხლის („თანამშრომლობა წამყვან და სხვა დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოებს შორის“) მოთხოვნათა დაცვით, ირლანდიის საზედამხედველო ორგანომ გადაწყვეტილების პროექტი ევროკავშირის ყველა კოლეგა საზედამხედველო ორგანოს წარუდგინა. ირლანდიის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილების პროექტს ექვსი კოლეგა საზედამხედველო ორგანო არ დაეთანხმა. საზედამხედველო ორგანომ კოლეგა უწყებებთან კონსენსუსს ვერ მიაღწია და ამიტომ მან საქმე განსახილველად მონაცემთა დაცვის ევროპულ საბჭოს (“EDPB”) გადასცა, GDPR-ის 65-ე მუხლით („საბჭოს მიერ დავების გადაწყვეტა“) გათვალისწინებული დავების გადაწყვეტის პროცედურის შესაბამისად.

ფოტო: edpb.europa.eu

2022 წლის 28 ივლისს, EDPB-მ მიიღო შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, ირლანდიის საზედამხედველო ორგანოს GDPR-ის მე-6 მუხლის (მონაცემთა დამუშავების კანონიერება) 1-ლი პუნქტის დარღვევის დადგენა დაევალა. აღნიშნულის გამო ჯარიმების ნაწილში შესაბამისი ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო, რის შემდგომ ირლანდიის საზედამხედველო ორგანომ 2022 წლის 2 სექტემბერს გადაწყვეტილება მიიღო.

საბოლოო ჯამში, "Instagram"-ზე დაკისრებული ჯარიმის ოდენობამ 405 მილიონი ევრო შეადგინა, მათ შორის, გათვალისწინებულ იქნა 20 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა GDPR-ის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევისთვის. გარდა ამისა, ირლანდიის საზედამხედველო ორგანომ "Instagram"-ს დაავალა სხვადასხვა ღონისძიების გატარება დამუშავების ოპერაციების GDPR-თან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ფოტო: freepik.com

ფოტო: freepik.com

EDPB-ის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ისტორიულია არა მხოლოდ ჯარიმის სიდიდის გამო, არამედ, ასევე, იგი ევროკავშირის მასშტაბით პირველია ბავშვთა მონაცემთა დაცვის უფლებებთან დაკავშირებით. მისი განცხადების მიხედვით, ამ შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებით, EDPB-მ დამატებით ცხადყო, რომ კომპანიებმა, რომელთა სამიზნე ბავშვები არიან, განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ. ბავშვები იმსახურებენ განსაკუთრებულ დაცვას მათ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით.

ინფორმაციისთვის, ირლანდიის საზედამხედველო ორგანო ევროკავშირის სახელით ზედამხედველობს "Meta"-ს, რომელიც ასევე "Facebook"-ისა და "WhatsApp"-ის მფლობელია, რადგან კომპანიის ევროპული შტაბ-ბინა ირლანდიაში მდებარეობს.

ირლანდიის საზედამხედველო ორგანოს მიერ "Meta"-სთვის დაკისრებულ

ჯარიმებს შორის აღნიშნული სახდელი ყველაზე მაღალია. წინა შემთხვევებში, 2021 წლის სექტემბერში, საზედამხედველო ორგანომ GDPR-ის მძიმე დარღვევებისთვის "WhatsApp"-ი 225 მილიონი ევროთი დააჯარიმა, ხოლო მიმდინარე წლის მარტში, ჯარიმის სახით 17 მილიონი ევრო დააკისრა.

აღნიშნული ჯარიმა GDPR-ის ამოქმედების შემდგომ დაკისრებულ ჯარიმებს შორის სიდიდით მეორეა. ყველაზე დიდი ოდენობით ჯარიმა 2021 წლის ივლისში "Amazon"-ს დაეკისრა. ჯარიმის ოდენობა 746 მილიონ ევროს შეადგენდა.

ჰონგ კონგის პერსონალურ მონაცემთა მიმართულებით პირადი ცხოვრების დაცვის კომისრის ოფისმა „დოქსინგის" დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი დააკავა

02.09.2022

2022 წლის 2 სექტემბერს პერსონალურ მონაცემთა მიმართულებით პირადი ცხოვრების დაცვის კომისრის ოფისმა (PCPD) 31 წლის ჩინელი მამაკაცი „დოქსინგის" ("doxxing") ბრალდებით დააკავა. მას ბრალად მონაცემთა სუბიექტის (მომჩივნის) თანხმობის გარეშე პერსონალური მონაცემების გამჟღავნება ედებოდა.

ფოტო: pcpd.org.hk

გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებული და მომჩივანი კომპანიის ყოფილი თანამშრომლები იყვნენ. მათი ურთიერთობა სამსახურში შესრულებული დავალებების ხარისხის გამო შემდგომ დაიძაბა, რამაც საბოლოოდ დაკავებული პირის კომპანიიდან დათხოვნა გამოიწვია. მოგვიანებით, 2021 წლის ოქტომბერში, მომჩივნის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, მისი სახელი, მობილური ტელეფონის ნომერი, დამსაქმებლის სახელი, მომჩივნის წარსული ქმედებების შესახებ ინფორმაცია, სოციალური მედიის პლატფორმაზე გამოქვეყნდა.

დაკავებულ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა. ჰონგ კონგის საზედამხედველო ორგანო საქმის გამოძიებას აგრძელებს.

ვიდეო: youtube.com

„დოქსინგის" კონცეფციის კრიმინალიზაცია 2021 წელს პერსონალურ მონაცემთა შესახებ დადგენილებაში

შეტანილი ცვლილებებით განხორციელდა. „დოქსინგი“ გულისხმობს მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას, მისი თანხმობის გარეშე. კანონმდებლობის თანახმად, პირი, რომელიც მონაცემთა სუბიექტისგან მიღებულ ნებისმიერ პერსონალურ მონაცემს ამჟღავნებს მისი თანხმობის გარეშე, ფულის ან სხვა ქონების მოპოვების ან მონაცემთა სუბიექტისთვის ზიანის მიყენების მიზნით, სჩადის ამ დანაშაულს. ასევე, დანაშაულია პერსონალური მონაცემების გამჟღავნება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე, მონაცემთა სუბიექტისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის კონკრეტული ზიანის მიყენების განზრახვით, ან დაუდევრობის გამოჩენა ასეთი ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით. კონკრეტული ზიანი გულისხმობს შევიწროებას, სხეულის დაზიანებას ან ფსიქოლოგიურ ზიანს, რაც იწვევს პირის გონივრულ შეშფოთებას საკუთარი უსაფრთხოების ან კეთილდღეობის და საკუთრების დაზიანებასთან დაკავშირებით.



ფოტო: pcpd.org.hk

დანაშაულისთვის სასჯელის სახით 1 000 000 დოლარამდე ოდენობის ჯარიმა და 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა არის გათვალისწინებული.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი (EDPS) „ევროპოლის რეგულაციაში“ ცვლილებების შეტანის მიზნით სამართლებრივ ღონისძიებებს მიმართავს

22.09.2022

ფოტო: europeanunion.europa.eu

2022 წლის 16 სექტემბერს, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა (EDPS), რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოს და რომელიც აკონტროლებს ევროკავშირის ინსტიტუციებისა და ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებას, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) მიმართა და მოითხოვა განახლებული „ევროპოლის რეგულაციაში“ (ევროპარლამენტისა და საბჭოს 2022 წლის 8 ივნისის 2022/991 რეგულაცია, რომელმაც ჩაანაცვლა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 11 მაისის 2016/794 რეგულაცია და

რომელიც შეეხება ევროპოლის თანამშრომლობას კერძო სამართლის სუბიექტებთან, სისხლისსამართლებრივ გამოძიებასთან დაკავშირებით ევროპოლის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და ევროპოლის როლს კვლევასა და ინოვაციაში) ცვლილებების შეტანის შედეგად ასახული ორი ახალი ნორმის გაუქმება.

აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 2022 წლის 28 ივნისს და გავლენას ახდენს ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს (ევროპოლი) მიერ წარსულში პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით განხორციელებულ მოქმედებებზე.

როგორც EDPS-მა აღნიშნა, განხორციელებული ცვლილებები ასუსტებს ნორმის სამართლებრივ განსაზღვრულობას და საფრთხეს უქმნის EDPS-ის, როგორც ევროკავშირის უწყებების, ორგანოებისა და ინსტიტუციების საზედამხედველო ორგანოს, დამოუკიდებლობას. კერძოდ, რეგულაციისთვის დამატებული 74a და 74b მუხლები, რეტროაქტიულად კანონიერს ხდის ევროპოლის მიერ იმ პირების შესახებ დიდი მოცულობის პერსონალური მონაცემების დამუშავების პრაქტიკას, რომელთა კავშირიც დანაშაულებრივ ქმედებასთან შესაძლოა არ დასტურდებოდეს.

ფოტო: edps.europa.eu

ხაზგასასმელია, რომ EDPS-ის 2022 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება შეეხება ევროპოლის მიერ იმ მონაცემთა ბაზის შენახვას, რომელთა სუბიექტების კატეგორიზაცია არ განხორციელებულა) მსგავსი სახით ინფორმაციის დამუშავება EDPS-მა აღიარა „ევროპოლის რეგულაციასთან“ (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 11 მაისის 2016/794 რეგულაცია, რომელიც შეეხება სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს (ევროპოლი) და აუქმებს და ანაცვლებს საბჭოს 2009/371/JHA, 2009/934/JHA, 2009/935/JHA, 2009/936/JHA და 2009/968/JHA გადაწყვეტილებებს) შეუსაბამოდ.

ფოტო: flaticon.com

კერძოდ, 2020 წლის სექტემბერში EDPS-მა ევროპოლის მიერ მონაცემთა სუბიექტების კატეგორიზაციის გარეშე დიდი მოცულობის მონაცემთა შენახვის ფაქტზე გამოსცა გაფრთხილება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპოლმა განახორციელა გარკვეული ღონისძიებები, მას არ შეუსრულებია EDPS-ის მოთხოვნა, კერძოდ, არ განუსაზღვრავს ვადა მონაცემთა ფილტრაციისა და იმ მოცულობით შენახვისათვის, რომელიც საჭიროა მისი ანალიზისთვის. ამის საპასუხოდ, EDPS-მა გადაწყვიტა მაკორექტირებელი ღონისძიებების გამოყენება და 2022 წლის 3 იანვრის

გადაწყვეტილებით განსაზღვრა, რომ მონაცემთა სუბიექტის კატეგორიზაციის გარეშე 6 თვეზე ხანგრძლივი პერიოდით შენახული მონაცემთა ბაზები უნდა წაშლილიყო მონაცემთა მინიმალური დამუშავებისა და კანონით განსაზღვრული ვადით შენახვის პრინციპებიდან გამომდინარე. ზემოხსენებული პრინციპები კი მოცემულია „ევროპოლის რეგულაციის“ 28-ე მუხლში (28 (1) (c) 28(1) (e)). ამასთან, EDPS-მა ევროპოლს განუსაზღვრა 12-თვიანი პერიოდი იმისთვის, რომ გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოეყვანა უკვე არსებული მონაცემთა ბაზები.

აღსანიშნავია, რომ 2016/794 რეგულაციის თანახმად, მონაცემთა სუბიექტების კატეგორიზაცია ხდება ამავე რეგულაციით ამომწურავად განსაზღვრული მიზნებისთვის (მაგ., ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, ევროპოლს, ევროკავშირის სხვა ორგანოებს, მესამე ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის ხელშეწყობის მიზნით) და სუბიექტთა კატეგორიზაცია მოცემულია დასახელებული რეგულაციის II დანართში.

ზემოთ განხილული EDPS-ის 2022 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილების შედეგად, არსებობდა მოლოდინი, რომ თუკი პირის პერსონალური მონაცემები გადაეცემოდა ევროპოლს, ეს უკანასკნელი ვალდებული იქნებოდა 6 თვის განმავლობაში შეემოწმებინა, ჰქონდა თუ არა კავშირი მონაცემთა სუბიექტს დანაშაულებრივ ქმედებასთან. იმ შემთხვევაში კი, თუ არ გამოიკვეთებოდა მსგავსი კავშირი, მონაცემები უნდა წაშლილიყო არაუგვიანეს 2023 წლის 4 იანვრისა.

ევროპოლის ახალი რეგულაცია იძლევა შესაძლებლობას, რომ ევროპოლმა გააგრძელოს იმ მონაცემთა დამუშავება, რომლებიც ჯერ არ წაშლილა. აღნიშნული კი წინააღმდეგობაში მოდის EDPS-ის 2022 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილებასთან. როგორც EDPS-მა გამოთქვა საკუთარი მოსაზრება, მსგავსი მიდგომა შესაძლოა, ასუსტებდეს EDPS-ის, როგორც საზედამხედველო ორგანოს, მიერ საკუთარი ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას.

პოლონეთის საზედამხედველო ორგანომ ვარშავის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკურ ცენტრს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის ფაქტზე ადმინისტრაციული ჯარიმა დააკისრა

08.09.2022

პოლონეთის საზედამხედველო ორგანომ პაციენტთა უფლებების კომისრისგან მიიღო ინფორმაცია ვარშავის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ცენტრის მიერ პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

ერთ-ერთმა პაციენტმა ექიმისგან მიიღო მიმართვა სპეციალიზებულ კლინიკაში მომსახურების მიღების მიზნით, თუმცა აღნიშნული მიმართვა შეიცავდა სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს. კერძოდ სახელს, გვარს, მისამართს, პირად ნომერს (“PESEL

number”), ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას (კერძოდ, დიაგნოზს და სამედიცინო დაწესებულებისთვის მომართვის მიზეზს).

ფოტო: wum.edu.pl

ვარშავის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ცენტრი (მონაცემთა დამმუშავებელი) აღნიშნავდა, რომ ინციდენტს არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა მონაცემთა სუბიექტის უფლებებსა და თავისუფლებებზე. მონაცემთა დამმუშავებელმა გადაწყვიტა, რომ არ მიემართა საზედამხედველო ორგანოსთვის პერსონალური მონაცემების დარღვევის ფაქტზე და ასევე არ განუხორციელებია პერსონალური მონაცემების სუბიექტთან დამატებითი კომუნიკაცია.

ფოტო: flaticon.com

მონაცემთა დამმუშავებელი აღნიშნავდა, რომ მართალია, მიმართვაში პერსონალური მონაცემების შეყვანაში ფიქსირდებოდა შეცდომა, მაგრამ იგი მოიცავდა ინფორმაციას რეალურად არარსებული პირის შესახებ.

ამის საპირწონედ, პოლონეთის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ ექიმის მიერ გაცემული მიმართვა, შეიცავდა შეცდომას მხოლოდ პაციენტის სახელთან მიმართებით, თუმცა სხვა ინფორმაცია: მისამართი, პირადი ნომერი და დამატებითი მონაცემები შეესაბამებოდა რეალურად არსებული სხვა პაციენტის მონაცემებს. შესაბამისად, მხოლოდ პაციენტის სახელში შეცდომა არ იძლეოდა იმის თქმის საფუძველს, რომ მიმართვაში მითითებული პაციენტის მონაცემები შეეხებოდა არარსებულ პირს, რადგან პიროვნების სახელში შეცდომის მიუხედავად, აღნიშნული პიროვნების იდენტიფიცირება, ყველა სხვა მონაცემის საშუალებით, მარტივად იყო შესაძლებელი.

საბოლოო ჯამში, პოლონეთის საზედამხედველო ორგანომ ვარშავის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკურ ცენტრს ჯარიმის სახით განუსაზღვრა 10,000 პოლონური ზლოტის გადახდა.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მონაცემთა დამმუშავებელმა განზრახ არ მიაწოდა საზედამხედველო ორგანოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის თაობაზე და ასევე არ წარუდგინა ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს, მიუხედავად იმისა, რომ მას ამის შესახებ შეატყობინა პაციენტთა უფლებების კომისარმა.

ფოტო: uodo.gov.pl

ამასთან აღსანიშნავია, რომ არაუფლებამოსილი პირისთვის სხვა პირის პერსონალური მონაცემების გადაცემა, რაც რეალურად განხორციელდა მიმართვაში სხვა პაციენტის პერსონალური მონაცემების მითითებით, წარმოადგენს ასევე სამედიცინო კონფიდენციალურობის დარღვევასაც.

საფრანგეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (CNIL) ერთ-ერთი ვებგვერდი პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დააჯარიმა

14.09.2022

ფოტო: cnil.fr

საჩივრის საფუძველზე, CNIL-მა შეამოწმა ერთ-ერთი ვებგვერდი, რომელიც მომხმარებლებს კომპანიებთან დაკავშირებული სამართლებრივი ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობას აძლევდა.

CNIL-ი საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისას ორიენტირებული იყო მონაცემთა შენახვის განსაზღვრულ ვადებსა და უსაფრთხოებაზე.

საქმის მოკვლევის პროცესში, CNIL-მა აღმოაჩინა არაერთი დარღვევა პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი გარემოებების გათვალისწინებით, CNIL-მა ვებგვერდს დააკისრა ჯარიმა 250 000 ევროს ოდენობით. გადაწყვეტილება მიღებული იქნა სხვა ევროპულ ორგანოებთან თანამშრომლობით გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებლის ანგარიშები შექმნილი იყო ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოდან.

ვებგვერდზე პერსონალური მონაცემები (საბანკო დეტალები, სახელი და გვარი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი, საიდუმლო შეკითხვა და ა. შ.) ინახებოდა 36 თვით. თუმცა CNIL-მა აღმოაჩინა, რომ მომხმარებელთა 25%-ის მონაცემები ინახებოდა წინასწარ დადგენილი ვადების გაუთვალისწინებლად.

✅ შესაბამისად, დაირღვა GDPR-ის მე-5 მუხლის 1-ლი (“e”) პუნქტი, რომლის შესაბამისად, მონაცემები შენახული უნდა იქნეს მონაცემთა დამუშავების მიზნებისთვის აუცილებელი ვადით.

ფოტო: flaticon.com

CNIL-მა ასევე აღნიშნა, რომ ორგანიზაცია მის ვებგვერდზე ანგარიშის შექმნისას არ მოითხოვდა „ძლიერი პაროლის“ გამოყენებას. დამატებით ვებგვერდი ანგარიშებზე წვდომისთვის აგზავნიდა მუდმივ პაროლებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ასევე, გარდა პაროლისა, საიდუმლო კითხვებს, პასუხებს და ა. შ.

✅ ამდენად, CNIL-მა მიიჩნია, რომ ვებგვერდმა არ მიიღო შესაბამისი ზომები მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, დაადგინა GDPR-ის 32-ე მუხლის დარღვევა პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში.

დანიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო დამატებითი ღონისძიებების არსებობის გარეშე “Google”-ის ანალიტიკის გამოყენებას უკანონოდ მიიჩნევს

23.09.2022

ფოტო: datatilsynet.dk

დანიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“DATATILSYNET”) მის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოში აღნიშნა, რომ “Google”-ის ანალიტიკა არ არის შესაბამისობაში ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციასთან (GDPR) და მისი გამოყენება უკანონოა. აღნიშნულის მიზეზად დასახელდა შეერთებულ შტატებში პერსონალური მონაცემების გადაცემა, სადაც “Scherms II” საქმის შესაბამისად, მონაცემთა დაცვის გარანტიები სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი.

ფოტო: analyticsindiamag.com

დანიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პოზიცია ეფუძნებოდა კონკრეტულ საქმეს, თუმცა ასახავდა ზოგად ევროპულ პოზიციას პერსონალური მონაცემების დამუშავების მიმართულებით.

“DATATILSYNET”-ის გადაწყვეტილება იმეორებს ევროკავშირის, კერძოდ, ავსტრიის, საფრანგეთისა და იტალიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების გადაწყვეტილებებს, რომელთა შესაბამისად “Google”-ის ანალიტიკის გამოყენება მიჩნეული იქნა უკანონოდ. ამასთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანოებმა აღნიშნეს, რომ შეერთებული შტატების სამართალდამცავ ორგანოებს ჰქონდათ გადაცემულ მონაცემებზე წვდომა და შესაბამისად, მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები არ იყო უზრუნველყოფილი.

✅ შემუშავებული სახელმძღვანელოს თანახმად, ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ, თუ რამდენად შეესაბამება “Google”-ის ანალიტიკის გამოყენება ევროკავშირის მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას.

თუ ამ პლატფორმის გამოყენება არ იქნება ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი, მათ ეკისრებათ ვალდებულება გამოასწორონ ხარვეზი ან შეწყვიტონ ამ ინსტრუმენტის გამოყენება.

ფოტო: html.it

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა (OHCHR) ციფრულ ეპოქაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული გამოწვევების თაობაზე ანგარიში გამოაქვეყნა

16.09.2022

ფოტო: ohchr.org

გაეროს ადამიანის უმაღლესი კომისრის ოფისმა 2022 წლის 16 სექტემბერს ციფრულ სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ანგარიში გამოაქვეყნა.

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები საფრთხეს უქმნის ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ამ თვალსაზრისით განხილულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევები.

ანგარიშში გამოყოფილია 3 ძირითადი მიმართულება:

- სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ ჰაკერული ინსტრუმენტების ბოროტად გამოყენება;
- ძლიერი დაშიფვრის მნიშვნელობა ონლაინ სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სხვა უფლებებით სარგებლობისას;
- საჯარო სივრცეების ფართომასშტაბიანი მონიტორინგი.

ანგარიშში განხილულია, თუ როგორ შეუძლია სამეთვალყურეო ინსტრუმენტს ტელეფონებში შეღწევა და ამ გზით მასში არსებულ ყველა ინფორმაციაზე წვდომა. ამგვარი სათვალთვალო მეთოდი ხშირად გამოიყენება ტერორიზმსა და დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა ასევე ხდება მათი გამოყენება არალეგიტიმური საფუძვლით. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად და ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის მიზნით, სახელმწიფოებმა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგან.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაშიფვრა არის ყველაზე ძლიერი საშუალება ციფრულ სივრცეში ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სხვა უფლებების დასაცავად.

ფოტო: freepik.com

აგრეთვე ანგარიშში განსაკუთრებით არის აღნიშნული საჯარო სივრცეების მონიტორინგის მზარდი შემთხვევები. ახალი ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის პირთა სისტემატურ მონიტორინგს. ამ თვალსაზრისით სახელმწიფოებმა უნდა შეზღუდონ საჯარო მონიტორინგი პროპორციულობისა და მკაცრი აუცილებლობის შესაბამისად. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სივრცეებში შეიზღუდოს ბიომეტრიული ამომცნობი სისტემების გამოყენება.

ფოტო: ohchr.org

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ, ერთი მხრივ, ციფრულ ტექნოლოგიებს საზოგადოებისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია, ხოლო მეორე მხრივ, საფრთხეს ქმნის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის თვალსაზრისით. ამდენად, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დღესდღეობით გაცილებით უფრო დიდი საფრთხის წინაშე დგას, ვიდრე აქამდე, რაც შესაბამის ქმედებათა განხორციელების საჭიროებას ქმნის.

გერმანიაში, ქალაქ ბონში, 2022 წლის 6-8 სექტემბერს G7-ის ქვეყნების მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების მრგვალი მაგიდა გაიმართა

08.09.2022

G7-ის ქვეყნების მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების მრგვალი მაგიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლების ფედერალური კომისრის (BfDI) თავმჯდომარეობით გაიმართა.

მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების შეხვედრა გასული წლის მაისში ქ. დიუსელდორფში გამართული G7-ის ქვეყნების მინისტრების შეხვედრის ერთგვარი გაგრძელება იყო. მონაცემთა დაცვის ორგანოებმა ორდღიანი დებატებისა და დისკუსიების ფარგლებში განიხილეს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო საკითხები, აგრეთვე მათი თანამშრომლობის გაძლიერების გზები.

ფოტო: cnil.fr

მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებმა გადაწყვიტეს, რომ G7-ის მრგვალ მაგიდას ყოველწლიური შეხვედრის სახე მისცენ.

G7-ის ქვეყნების მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების შემდეგი შეხვედრა გაიმართება 2023 წელს იაპონიაში, იაპონიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს (პერსონალური ინფორმაციის დაცვის კომისიის) თავმჯდომარეობით.

დისკუსია დაეთმო როგორც ახალ, ისევე 2021 წელს განხილულ თემებს, კერძოდ:

- მონაცემთა დაცვასა და კონკურენციას შორის კავშირი;
- ელექტრონული მეთვალყურეობის („მზა ჩანაწერების“, ე. წ. “coockies”) მომავლის ფორმირება;
- ხელოვნური ინტელექტის პროექტირება პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით;
- ციფრულ ეპოქაში სამართალდამცავი ორგანოების ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- ტექნოლოგიური ინოვაციები პანდემიის კონტექსტში;
- მთავრობათა წვდომა კერძო სექტორის პერსონალურ მონაცემებზე;
- G7 მონაცემთა დაცვის ორგანოებს შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შემუშავება.

G7-ის ქვეყნების მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებმა, აგრეთვე განიხილეს ახალი საკითხებიც:

- გადაცემის ინსტრუმენტები მონაცემთა საერთაშორისო სივრცეების კონტექსტში, სერტიფიცირების მექანიზმების ჩათვლით;
- პირადი ცხოვრების დაცვის გამაძლიერებელი ტექნოლოგიები (ე. წ. “PETs”);
- დე-იდენტიფიკაცია (მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების გამორიცხვა/პრევენცია);
- მონაცემთა მინიმიზაციისა და მიზნის შეზღუდვის პრინციპები კომერციული ზედამხედველობის კონტექსტში;
- მონაცემთა დაცვის ორგანოების როლი ხელოვნური ინტელექტის მართვის ეთიკური და კულტურული მოდელის პოპულარიზებაში.

შეხვედრაზე განხილული საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ გამოქვეყნდა კომუნიკე.

დიდი ბრიტანეთის ინფორმაციის კომისრის ოფისმა (ICO) პირადი ცხოვრების დაცვის გამაძლიერებელი ტექნოლოგიების (“PET”) შესახებ სახელმძღვანელოს პროექტი გამოაქვეყნა

07.09.2022

დიდი ბრიტანეთის ინფორმაციის კომისრის ოფისმა (ICO) პირადი ცხოვრების დაცვის გამაძლიერებელი ტექნოლოგიების (“PET”) შესახებ სახელმძღვანელოს პროექტი გამოაქვეყნა. აღნიშნული სახელმძღვანელოს პროექტის მიზანია, დაეხმაროს ორგანიზაციებს ახალი

პროდუქტის ან მომსახურების შექმნისას „დიზაინით მონაცემთა დაცვის“ სტანდარტების (“privacy by design”) გათვალისწინებაში.

ფოტო: ico.org.uk

“PET” არის ტექნოლოგიები, რომლებიც ორგანიზაციებს ხელს უწყობს პერსონალური მონაცემების კანონიერად და უსაფრთხოდ გაზიარებაში, მათ შორის, გამოყენებული მონაცემების ოდენობის მინიმუმამდე შემცირებასა და პერსონალური ინფორმაციის ფსევდონიმიზირებასა და ანონიმიზაციაში. “PET” ტექნოლოგიებს უკვე იყენებენ ფინანსური ორგანიზაციები ფულის გათეთრების შემთხვევების გამოძიების დროს და ასევე, ჯანდაცვის სექტორში — უკეთესი მომსახურების უზრუნველსაყოფად.

სახელმძღვანელოს პროექტი განმარტავს ამჟამად ხელმისაწვდომი “PET” ტექნოლოგიების უპირატესობებსა და ტიპებს, ასევე, მათ როლს ორგანიზაციების მიერ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში.

“PET” ტექნოლოგიები უპრეცედენტოდ ზრდიან შესაძლებლობებს, ინოვაციური და სანდო აპლიკაციების საშუალებით მონაცემთა გამოყენებისას, ორგანიზაციებმა ერთმანეთს გაუზიარონ ან ერთობლივად გააანალიზონ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები პირადი ცხოვრების დაცვაზე ორიენტირებული მეთოდებით.

“PET”-ის სახელმძღვანელოს პროექტი გამოქვეყნდა G7-ის მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების დაცვის საზედამხედველო ორგანოების 2022 წლის მრგვალი მაგიდის ჩატარებამდე. აღნიშნულ შეხვედრაზე ICO-მ მრგვალი მაგიდის მონაწილეებს წარუდგინა თავისი საქმიანობა “PET” ტექნოლოგიებთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირა საერთაშორისო შეთანხმებას “PET” ტექნოლოგიების პასუხისმგებლიანი და ინოვაციური გამოყენების მხარდაჭერის შესახებ.

დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს მთავრობებმა დააწესეს საპრიზო კონკურსები “PET” ტექნოლოგიების პოტენციალის გამოსავლენად და გლობალურ საზოგადოებრივ გამოწვევებთან საბრძოლველად.

ICO მხარს უჭერს “PET” ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ქცევის კოდექსებისა და სერტიფიცირების სქემების დანერგვას, რათა დაეხმაროს ორგანიზაციებს გამოიყენონ აღნიშნული ტექნოლოგიები პასუხისმგებლობით, ასევე, წაახალისოს “PET” ტექნოლოგიების დეველოპერები და მომსახურების მიმწოდებლები, შექმნან

ახალი პროდუქტები თუ მომსახურება მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების დაცვის მექანიზმების გათვალისწინებით.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge